

ბალდათის მუნიციპალიტეტი, ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და ხალხურის განვითარების ცენტრი

## პრემიერა - ჩანჩურას მმოცია და ოგაცია

14 იანვარს, ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით, რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის სახლის დიდ სცენაზე ბალდათის სახალხო თეატრმა საზოგადოებას მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ჩანჩურა“ წარუდგინა. დამდგმელი რეჟისორი გიგა მიქაძე, სპექტაკლი ემოციურად დატვირთული აღმოჩნდა და მსახიობებმაც მაყურებლის დიდი მონონება დაიმსახურეს.



## „წლის ბაბუა“ - ნოდარ ფულარიანი

ბალდათელმა მუსიკოსმა ნოდარ ფულარიანმა მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია იმედის გადაცემაში „პრაიმშოუ“. პროექტი მასპინძლობდა ბებიებსა და ბაბუებს საქართველოს ყველა რეგიონიდან. მათ უიურის წევრებს წარუდგინეს ქართული ცეკვები და სიმღერები. ნოდარ ფულარიანმა სიმღერა „შენ რომ დიდი იქნები“ შეასრულა და წლის ბაბუად დასახელდა. მისმა საკონკურსო ნომერმა საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა და ინტერნეტ სივრცეც დაიპყრო.



## სუფთა ბალდათი

### ბალდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების სამსახურის საქმიანობის შეფასება

ა.ა.ი.პ ბალდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების სამსახური აქტიურად მუშაობს და ზრუნავს ჩვენი მუნიციპალიტეტის დასუფთავებაზე, გამწვანებაზე, გარე განათებისა და სკვერების მოწესრიგებაზე. ბუნებრივი წყაროების განმწმუნებასა და სხვა მრავალ საკითხზე. „ჩემი გაზეთის“ გუნდი სამსახურის უფროსს ბატონ ამბერკი რობაქიძეს ესაუბრა 2019 წელს შესრულებულ სამუშაოებსა და სამომავლო გეგმებზე.

ბალდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების სამსახურში 150-მდე თანამშ-

რეები, მათ შორის სოჭი და ზეთისხილის ნერგები, - აღნიშნა სამსახურის უფროსმა ამბერკი რობაქიძემ. მუნიციპალიტეტში დასუფთავების მიმართულებით მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. გადასახადის ინდის მოსახლეობის 60%-ზე მეტი, თუმცა პრობლემებია კერძო სექტორთან. ბატონი ამბერკის თქმით, ამ კუთხით ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე განსახორციელებელი, რადგან მუნიციპალიტეტს ჯარიმის დაწერის უფლება არ აქვს და იურიდიული პირებიდან გადასახადის ამოღება ძალიან რთულია. ნაგვის ურნები განსათავსებელია სამ სოფელში: ზეგანი, საკრაულა და ხანი.

კუთხით მუშაობა ხორციელდება გეგმარაფიკის მიხედვით.

რთული მდგომარეობაა მანანალა ძაღლების ქალაქიდან გაყვანის მიმართულებით. კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების სამსახურს გამოყოფილი აქვს თანხა 45 000 ლარამდე. ტენდერში გამარჯვებული კომპანია იქნება პასუხისმგებელი მანანალა ძაღლების გაყვანაზე, აცრასა და პატრონობაზე. წინა წლებში ქალაქიდან სხვა ორგანიზაციის მიერ გაყვანილი ძაღლები ისევ უკან ბრუნდებოდნენ. კომპანიის წარმომადგენლები კი აცხადებდნენ, რომ მათ ძაღლების თავშესაფარში განთავსების ვალდებულება არ ეკისრებოდათ. ეს პრობლემა მთელი საქართველოს მასშტაბით დგას და ამ კუთხითაც საკანონმდებლო დონეზე ცვლილებები განსახორციელებელი. იმედა, საკითხი მალე გადაწყდება და უპატრონო ძაღლების უკან დაბრუნება აღარ მოხდება. მოსახლეობის მიმართ ბატონი ამბერკის თხოვნა ყურადღება მიაქციონ შინაური ცხოველების ქალაქის ტერიტორიაზე გადაადგილებას, რომელიც კანონით აკრძალულია. ამ მხრივ, აუცილებელია მოსახლეობის ჩართულობა და ჩვენს მუნიციპალიტეტზე ერთობლივი ზრუნვა.

რაც შეეხება ბიუჯეტს, 2020 წელს გაიზარდა სამსახურის დაფინანსება. ამის საფუძველზე კი მოხდა ხელფასების 5-8%-ით ზრდა. სამსახურის წარმომადგენლები ბალდათის მერიასა და საკრებულოს დიდ მადლობას უხდებიან გვერდით დგომისა და დაფასებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ამბერკის დიდი შრომა აქვს ჩადებული სამსახურის გამართულად ფუნქციონირებაში. მას ნამდვილად აქვს კარგი მენეჯერის თვისებები და ყოველთვის დგას თანამშრომლების გვერდით.

## ნიკო კეცხოველის პრემია 2020

### ღიშის №1 საჯარო სკოლის ეკო-კლუბი „ეპიფითი“

ნიკო კეცხოველის პრემიაში ჩართვის მომენტიდან ეკოკლუბი „ეპიფითი“ აქტიურად ახორციელებს და მიჰყვება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს. ეკოკლუბი პროექტის ფარგლებში ატარებს სხვადასხვა აქტივობას, როგორებიცაა: სემინარები, ჩვენი თემის დასუფთავების აქციები, ჯანმრთელობის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებები, სპორტული თუ თანამშრომლობითი ხასიათის შეკრებები. ეს ყველაფერი დადებითად აისახება როგორც გარემოზე, ასევე ადამიანზე. ამ სტატიაში ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ-ერთ პროექტზე, რომელიც გულისხმობს ბავშვებისთვის სემინარების საშუალებით დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე. ახალგაზრდებში დღესდღეობით საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს წიგნიერების თემა. ეკოკლუბის წევრები ვცდილობთ ამ მიმართულებით მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებას, რათა გავავლიოთ მათში ლიტერატურის სიყვარული და დავანახოთ წიგნის მნიშვნელობა ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

ღიშის №1 საჯარო სკოლა  
ელენე ჩიქვინიძე



რომელი მუშაობს. მათი ყოველდღიური საქმიანობა განსხვავებული და სპეციფიკურია. დღეს თუ ჩვენი მუნიციპალიტეტი დასუფთავებული და მოწესრიგებულია, ეს მათი დიდი შრომის შედეგია. სამსახური პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს და ბევრ დადებით შეფასებასაც იღებს. „2019 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ჩვეულ რეჟიმში ვმუშაობდით. მოვანერგეთ სოფლის პროგრამით გათვალისწინებული შიდა საუბნო გზები და გარე განათება. ქალაქ ბალდათში მოწესრიგდა სკვერი, დაირგო მარადმწვანე მცენა-

ხოლო როკითში, დიდველასა და კაკაურისძის ქუჩაზე არსებული ურნები დაზიანებულია და შეკეთებას არ ექვემდებარება, ამიტომ აუცილებელია მათი შეცვლა. როგორც ბატონმა ამბერკიმ განაცხადა, ამ პრობლემის მოსაგვარებლად მათ ესაჭიროებათ 100 ნაგვის ურნა. სხვა შეფერვება დასუფთავების მიმართულებით არ არსებობს.

სამსახურს ევალეა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი წყაროების მოვლა-პატრონობა, რაც გულისხმობს წყაროს სათავე-ნაგებობისა და წყლის მიღების შემონახვა-დასუფთავებას. ამ

# ქეთი ქარციძე - გამორჩეული ქალბატონი



2019 წლის ღონისძიებებიდან ერთ-ერთი გამორჩეული, საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო ვ.ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ეგიდით გამართული შემოქმედებითი საღამო „ჩემი, ძამიკო, ნიჭი“. როგორც იტყვიან, ხელოვნება სულის საზრდოაო. ამ დღემ ბევრი სიტბო, ღიმილი და დადებითი განწყობა მოჰგვარა განურჩევლად მონაწილესა თუ დამსწრე საზოგადოებას. ღონისძიების სულისჩამდგმელის ქალბატონ ზაირა კამლაძის ჩანაფიქრი მიზნად ისახავდა ხალხისათვის უცნობი შემოქმედი ადამიანები დღის სინათლეზე გამოეყვანა. სწორედ ამ ღონისძიების დამსახურებით გაიცნო „ჩემი გაზეთის“ გუნდმა არაჩვეულებრივი პოეტი, ქალბატონი ქეთი ქარციძე. მისმა შემოქმედებამ დამსწრეთაგან გულგრილი არავინ დატოვა, მოთხრობამ დედაზე კი განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა. დღევანდლობაში მართლაც რომ იშვიათი კეთილშობილებით გამოირჩევა ქალბატონი ქეთი. ის გულისხმიერი, ღიმილიანი,

არაჩვეულებრივი დიასახლისი, დედა და ბებიაა.

ქეთი ქარციძე 1961 წლის 11 ნოემბერს ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერეთაში დაიბადა. წერა ბავშვობიდან დაიწყო და მისი თავშესაფარი გახდა. პოეტის ყველა ლექსი და მოთხრობა უზომოდ სიყვარულითა და სითბოთა განმსჭვალული.

აზა მახანაძე

გთავაზობთ, ქეთი ქარციძის შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსს:

\*\*\*  
დამძინებია..  
უფრო სწორედ ჩამძინებია...  
ლამაზ ფიქრებში ხეტიალით  
უაზროდ დაღლილს...  
ერთხელ კიარა, ორჯერ კიარა...  
ვერავინ დათვლის.  
გამომეღვიძა გაღიმებულს.. ვიფიქრე  
გონებას ავცდი.  
ძალიან მენატრებოთ...  
სულ თქვენზე მეფიქრება,  
თქვენზე ფიქრს ვეღარ გავცდი.  
რკინა არა ვარ, ერთი ქალი ვარ.  
დავიღალე და გავცვიდი.  
ბევრჯერ ვიგონებ ბედნიერებას...  
ჩემს თავს ვატყვილებ ხშირად..  
კიარ ვტირივარ, კიარ ვწუწუნებ...  
და არც არავის ვკიცხავ.  
დავბრუნდები და აღარსად წავალ  
დედას და შვილებს ვფიცავ!

\*\*\*  
თითქოს ჩემს ხმაურს  
სიჩუმე ებრძვის,  
სურს რომ გარინდოს  
ჩემში ყოველი...  
მე არსად არ ვარ ანი  
წამსვლელი,  
წამავალ დღეებს  
აქეთ მოველი.  
ხმაურობს ჩემში  
გაჯოუტება...  
დროს კი არ მივსდევ,  
აქ ველოდები...  
მგონია ვინმე  
მომეფერება,  
მგონია ვინმეს  
შევეცოდები...  
და მაინც მოვა  
ბოლოს სიჩუმე...  
სხვა იხმაურებს  
მე გაეჭმადები...  
გაცყვები ჩემთვის  
მოსულ სიჩუმეს  
წავალ და უკან  
არ დავბრუნდები.

## „ურთიერთობა მდგრადი განვითარებისთვის“

ურთიერთობა მდგრადი განვითარებისთვის ახალგაზრდული გარემოსდაცვითი კონკურსი – ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია – 2015 წელს დაარსდა CENN-ის მიერ, პროექტის – ტყის მდგრადი მართვა საქართველოში – ფარგლებში, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის / Austrian Development Cooperation ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსის თანაორგანიზატორები არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი. კონკურსის მთავარი ფასეულობებია – სოლიდარობა, თანამშრომლობა და პასუხისმგებელი დამოკიდებულება გარემოსადმი; კონკურსში მონაწილეობის

მთავარი მიზანია პატარა თუ დიდი ცვლილებების შეტანა ბუნებრივი და სოციალური გარემოს გაუმჯობესების საქმეში, მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად. პროექტი ყოველ წელს სხვადასხვა სლოგანით იმართება. წელს პროექტის სლოგანია „ურთიერთობა მდგრადი განვითარებისთვის“. ამ ლოზუნგის ქვეშ გაერთიანდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლის ეკოკლუბი „გრინფისი“ და როკითის საჯარო სკოლის ეკოკლუბი „ბიოფილები“. მათ ერთად ჩაატარეს სემინარები, კვლევები, დასუფთავებისა და განწვანების აქციები, ლაშქრობები, გაიარეს ნიკო კეცხოველის გზები და სხვა. მოსწავლეებს გააზრებული აქვთ მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობა. გეგმავენ



და ახორციელებენ აქტივობებს ბუნებრივი და სოციალური გარემოს სასიკეთოდ. ისინი ფიქრობენ, რა შეიძლება გააკეთონ მომავლის გასაუმჯობესებლად. ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია მოსწავლეებსა და

მასწავლებლებს აძლევს საკუთარი ნიჭისა და უნარების გამოვლენისა და მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას.  
მარიამ ახალაძე

## ბაღდათის საშუალო სკოლის მიღწევა

ა.ა.ი.პ ბაღდათის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის საშუალო სკოლის აღსაზრდელებისათვის 2019 წელი წარმატებული აღმოჩნდა. მათ მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე კონკურსში, საიდანაც საკმაოდ კარგი შედეგებითა და პრიზებით დაბრუნდნენ. „ჩემი გაზეთის“ გუნდი სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის საშუალო სკოლის მენეჯერს ქალბატონ ცისანა კაიშაურს ესაუბრა 2019 წლის შემაჯამებელ სამუშაოებსა და სამომავლო გეგმებზე.

დაწესებულებაში სწავლობს 150-მდე აღსაზრდელი და ფუნქციონირებს საფორტეპიანო და სავიოლინო განყოფილება. 2019 წელს მევიოლინეებმა თამარ კარკაძემ და

ლილე გუმბერიძემ, საფორტეპიანო განყოფილების აღსაზრდელმა იოანე ბაზანოვმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში „მომავლის ვარსკვლავები“, რომელიც 2 ტურად გაიმართა. პირველი, რეგიონალური ტური ჩატარდა ქუთაისში, ხოლო დასკვნითი ღონისძიება თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ბაღდათის საშუალო სკოლის მონაწილეებმა ლაურიატის წოდება მიიღეს და იტალიის ქალაქ პეზაროში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობის საგზური მოიპოვეს. ბიუჯეტის სიმცირის გამო, მათი იტალიაში გამგზავრება ვერ მოხერხდა. საგზური ორი წლის განმავლობაში მოქმედებს და ქალბატონი ცისანა დიდ იმედს იტოვებს, რომ წელს მაინც გაუწევენ პოპულარიზაციას ჩვენს მუნიციპალიტეტს. კონკურსი „მომავლის ვარსკვლავები“ ყოველ წელს იმართება და საშუალო სკოლის მოსწავლეები კვლავ აპირებენ მასში ჩართვას განახლებული რეპერტუარით.

ამავე წელს საშუალო სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს სენაკის არტ-ფესტივალში, რომელიც უნიჭიერესი ნორჩი მუსიკოსების გამოვლენასა და მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას ემსახურება. ფესტივალის დამაარსებელია მსოფლიოში ცნობილი პიანისტი, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალჯონი ლაურიატი, ხელოვნების აკადემიის რექტორი, სენაკის საპატიო მოქალაქე ვალერიან შიუკაშვილი და ტარდება უწმინდესისა და

უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. ფესტივალზე ბაღდათის საშუალო სკოლის მევიოლინეთა გუნდმა კომპოზიცია „სულიკო“ შეასრულა და ლაურიატის წოდება მიიღო. „ვალერიან შიუკაშვილმა მადლობა გამოგვიცხადა, რეპერტუარი მეორედ შეგვასრულებინა და ფესტივალის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა“, – აღნიშნა ქალბატონმა ცისანა კაიშაურმა.



ამის შემდეგ იყო მიწვევა ქალაქ პრაღაში გამართულ მუსიკალურ კონკურსზე, მაგრამ გუნდმა, გარკვეული მიზეზების გამო, წასვლა ვერ მოახერხა. კონკურსის ორგანიზატორებმა მოითხოვეს მეცადინეობის ამსახველი ვიდეო გაგზავნა. ბაღდათელი მევიოლინეების მიერ ჩაწერილმა რეპერტუარმა იმდენად დიდი მონონება დაიმსახურა,

რომ გუნდი პირველი ადგილის მფლობელი გახდა. პრიზი კონკურსის ორგანიზატორებმა ქუთაისელ მონაწილეებს გამოატანეს. „2019 წლის სექტემბერში ქალბატონების ირინა ტყემლაშვილისა და თამილა ფაიქიძის დახმარებით შევიძინეთ ერთი ფორტეპიანო. საშუალო სკოლის ბალანსზე არსებული ინსტრუმენტები ამორტიზებულია. იმედი გვაქვს, როიალსაც მალე შევიძინო.“

2020 წელს დიდი გეგმები დავსახეთ – ვაპირებთ მონაწილეობის მიღებას 4 საერთაშორისო კონკურსზე. უკვე აქტიურად ვემზადებით. ძალიან ნიჭიერი ბავშვები და პედაგოგები გვყავს. ვიმედოვნებთ, წინა წლის მსგავსად ეს წელიც წარმატებული იქნება“, – განაცხადა ცისანა კაიშაურმა.  
ანა ქორიძე





თეატრი ეს არის სივრცე, სადაც ადამიანს შეუძლია, რომ რაღაც დროის განმავლობაში სხვა ადამიანი გახდეს. ადგილი, სადაც მხატვრული ხერხებით გადმოცემულია ცხოვრებისეული რეალობა. თეატრს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცნობიერების შეცვლასა თუ განვითარებაში. ამის შესახებ გრიგოლ ორბელიანი ამბობს: „სადაც თეატრი არ არის, მუნ არცა არს განათლება ხალხისა“.

თეატრის ისტორია საკმაოდ დიდ პერიოდს მოიცავს. უძველეს მხატვრობაში ვხვდებით თეატრალური წარმოდგენების პრიმიტიულ მეთოდებს. ანტიკურ ხანაში თეატრალური ცხოვრება უფრო განვითარდა, რაც კარგად ჩანს ძველ ბერძნულ და რომაულ წარმოდგენებში. ამ პერიოდში იქმნება ამფითეატრები, რომელთაგან გამორჩეულია რომის კოლიზეუმი.

ქრისტიანული ეპოქის დასაწყისში თეატრალური წარმოდგენები რელიგიური შინაარსის ხდება, თუმცა ამის პარალელურად ვითარდება საერო თეატრიც. თეატრალური ცხოვრება განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქაში. ამ პერიოდის თეატრის საილუსტრაციოდ შექსპირის ტრაგედიები შეგვიძლია დავასახელოთ.

მსოფლიოს თეატრალურ ცხოვრებას არც ქართული თეატრი ჩამოუვარდება. საქართველოში თეატრის პრიმიტიული სახე ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ 3000-ძვ.წ. 1200 წწ) ჩანს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ამ პერიოდის რამდენიმე ბრინჯაოს სარტყელი,

# ქართული თეატრის ისტორია

ნეთს ერწყმოდა სანახაობათა სხვადასხვა ფორმა (მაგ. ბერიკაობისა და ყეენობის ფორმების შერწყმა).

ქრისტიანობამდელი ქართული მისტერიები აღწერილია ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“. ეს აღწერილობა მის მიერ მოტანილია „ნინოს ცხოვრების“ ადრინდელი ტექსტის თავისებური გადამუშავებით. ქართველობა დიდ როლს თამაშობდა იმ დროის მსოფლიოს კულტურულ სარბიელზე. IV ს-ის ბერძენი ფილოსოფოსი თემისტოხოსი წერს, რომ ეგრისელები თავიანთი რიტორიკული ხელოვნებით ბრწყინვალედ ბერძენთა სადღესასწაულო შეჯიბრებებზე.

ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ საკმაოდ მძიმე ბრძოლა დაიწყო წარმართული სახიობის წინააღმდეგ. საეკლესიო-ფეოდალური წრეებისათვის მიუღებელი იყო წარმართული სახიობის ხალხური ხასიათი, რითაც ეს სანახაობა ხშირად გალატაკებულ მინათმოქმედთა და ხელოსანთა ინტერესებს გამოხატავდა. საეკლესიო მამამთავრები ეკლესიის სამტროდ მიიჩნევდნენ სიცილს, მხილება-ბასრობას, რაც დამახასიათებელი იყო სატირული ზუნების მქონე სახიობისათვის. უძველეს ქართულ ძეგლში „ბალავარიანი“ კარგად ჩანს, თუ როგორ უპირისპირდება საერო სახიობა საეკლესიოს.

VIII-IX საუკუნეების დრამატული პოეზიის არსებობას მოწმობს ქართული „მრავალ-

პერიოდში განვითარდა გმირულ-რომანტიკული და რეალისტურ-კომედიური მიმართულებები, პარალელურად შემოდის უცხოური თეატრალური წარმოდგენები.

1921 წლის 25 ნოემბერს თბილისის ქართულ თეატრს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა.

ქართული თეატრის აღმავლობა დაკავშირებულია ორი დიდი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სახელთან. რუსთაველის თეატრში მუშაობის შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ახალ თეატრს, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს, ხოლო სანდრო ახმეტელის თეატრალური შედეგები მსოფლიო თეატრალური ელიტის ყურადღების ცენტრში მოექცა და ქართულ თეატრს პირველი საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

XX ს-ის 60-70-იანი წლებიდან ნოვატორული ძიებისა და სხვადასხვა თეატრალურ-ესთეტიკური მიმართულების დამკვიდრება თანამედროვეობის გამოჩენილ რეჟისორებს მიხილ თუმანიშვილს, რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძეს უკავშირდება. ამ პერიოდში თეატრალური დასები არსდება მთელი საქართველოს მასშტაბით და ამ პროცესს არც ბალდათის მუნიციპალიტეტი ჩამორჩა.

### ბალდათის სახალხო თეატრი

ბალდათში თეატრს საფუძველი ჩაეყარა 1912 წლის მარტში, გიორგი ახვლედიანის, ანდრო ფურცელაძისა და სხვათა თაოსნობით. დადგინდა, რომ ყოველ ზაფხულს ჩატარებულიყო წარმოდგენები. ბალდათის თეატრის პირველი ხელმძღვანელი იყო შალვა ჯაფარიძე. რეპეტიციები ტარდებოდა კოლია დვალისხევის სახლის მეორე სართულზე. წარმოდგენები იმართებოდა აბრეშუმის პარკის საშრობის ფარდულში. შალვა ჯაფარიძის ინიციატივით 1912 წლიდან ჩამოყალიბდა დასი, რომელმაც ივნისში სპექტაკლზე მუშაობა დაიწყო. ამ დასში შედიოდნენ არაპროფესიონალი მსახიობები. 1912-1918 წლებში ჩვენს სცენაზე ინვეცდენ ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მსახიობებსაც. 1912-1926 წლებში ბალდათის თეატრალურ დასში მოღვაწეობდა შემდგომში ცნობილი საოპერო მომღერალი ვალერიან ქაშაყაშვილი.

ბალდათში პირველი წარმოდგენა იყო აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, რომელიც დაიდგა 1912 წლის 15 ივლისს. წარმოდგენა პარკის საწყობ ფარდულში მოეწყო (რეჟისორი შალვა ჯაფარიძე). სპექტაკლში მონაწილეობდნენ: შალვა ჯაფარიძე (პატარა კახი), ქსენია ჯაფარიძე (ტურფა), თამარ ფურცელაძე (დედოფალი), პანტელეიმონ კვიციანი (მეფე) და სხვები. წარმოდგენა მიმდინარეობდა მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით.

1913 წლის ზაფხულში აჩვენეს გედევანაშვილის „მსხვერპლი“. სპექტაკლი დაიდგა მინაგო ფურცელაძის თავლაში. სწორედ ამ სპექტაკლში ჰქონდა დებიუტი რუსთაველის თეატრის მსახიობს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს - სტეფანე ჯაფარიძეს. 1914-1915

წლებში მინაგო ფურცელაძის თავლიდან თეატრი გადადის მალაქია გორგოძის დუქანში, სადაც იდგება „დარისპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“ და „ვოდველები“.

1916 წლის ივნისში დაიდგა ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინე“. ამ სპექტაკლს ესწრებოდა გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც იმდენად მოეწონა წარმოდგენა, რომ ალტაცებული ავიდა სცენაზე და ქრისტინეს რო-



ლის შემსრულებელ ქსენია ჯაფარიძეს ეამბორა.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ან. ფურცელაძემ და ნინა ნადირაძემ დააარსეს მომღერალ ბავშვთა გუნდი, რომელთაც კომუნისტური სულისკვეთებით ზრდიდნენ. 1918 წლის თებერვალში მონაფეთა მიერ დაიდგა საბავშვო პიესები: შიო მღვიმელის „ნაკადული“, „ია და ბავშვები“, „გაზაფხული“ და სხვები. იმავე წლის აპრილში გიორგი ახვლედიანმა თავის მომღერალთა გუნდით გამართა კონცერტი, სწორედ მაშინ შეარქვეს მას ხალხური სიმღერების ოსტატი.

1918 წელს შალვა ჯაფარიძე ქუთაისის სახელმწიფო თეატრში გადავიდა და თეატრის ხელმძღვანელად დაინიშნა სტეფანე ჯაფარიძე და რეჟისორად - გიორგი ჯანდიერი.

1918-1925 წლებში დაიდგა ბევრი საინტერესო სპექტაკლი: ა. ცაგარელის „ხანუმა“, გ. მდივანის „სამშობლო“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და სხვა წარმოდგენები.

როგორც ვხედავთ, 1912-1925 წლები შემოქმედებითად საკმაოდ დატვირთული იყო. ამას ეს ადამიანები აკეთებდნენ იმ პირობებში, როცა არ იყო ხელფასი, გათბობა და განათება, არ ჰქონდათ თეატრისათვის საჭირო აღჭურვილობა და წარმოდგენებისათვის საჭირო ტანსაცმელი. რაც ყველაზე მთავარია, არ არსებობდა ერთი კონკრეტული ადგილი, სადაც თეატრალური დასი სპექტაკლებს დადგამდა. ამიტომ მათი ღვაწლი ბალდათის თეატრალური ცხოვრების განვითარებაში ფასდაუდებელია.

XX ს-ის მიწურულს საქართველოში სახელმწიფო თეატრის გვერდით გაჩნდა კერძო პროფესიული თეატრები, კამერული სცენები და ექსპერიმენტული სივრცეები.

დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებს დრამატული, მუსიკალური, პანტომიმის, თოჯინებისა და მარიონეტების თეატრები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვს უცხოურ თეატრებთან.

როგორც ვხედავთ, საქართველოსათვის თეატრალური ცხოვრება უცხო არ არის და მომავალი თაობები იმედს გვითვებენ, რომ ქართული თეატრი კიდევ უფრო განვითარდება.

ჯუანხერ გუბუჩიძე



რომელზეც გამოსახულია ნადირობის სცენები. თუ ამ ნახატებს კარგად დავეუვირდებით, შევნიშნავთ, რომ მონადირეები ნიღბით არიან გამოსახულები, ხოლო ნიღბი, როგორც გარდასახვის საშუალება, თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

ქართული სახიობების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ცეკვა. ამასთან დაკავშირებით ძვ.წ. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე წერს: „ქართველნი ცეკვას იწყებდნენ სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, თითქოს სხვებისათვის უნდოდათ ეჩვენებინათ თავიანთი ხელოვნება“.

დასავლეთ საქართველოში არსებობდა დამტირებელთა ანუ თავისებური „გლოვის მგოსანთა“ სახეობა – გამორჩეული ტემპერამენტის, ფანტაზიისა და არტისტული მონაცემების ქალი სოფლიდან სოფელში, სატირლიდან სატირალში დადიოდა (ზოგჯერ დაქირავებით).

დროთა განმავლობაში ქართული სანახაობები რთულდებოდა, ზოგჯერ კი ერთმა-

თავეები“, განსაკუთრებით კი იოანე ოქროპირის ქადაგება ხარების თემაზე.

ქართული თეატრის ცხოვრება პირდაპირ კავშირში იყო ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან. 1791 წელს თბილისში მწერლობა, დრამატურგმა და დიპლომატმა გიორგი ავალიშვილმა დააარსა ქართული ნაციონალური თეატრი.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ (1801 წ. აღმოსავლეთ საქართველო, 1810 წელი იმერეთის სამეფო) შეწყდა ქართული თეატრის არსებობა. ქართველი ინტელიგენციის მცდელობის მიუხედავად, ქართული თეატრის აღდგენა 1850 წლამდე ვერ მოხერხდა. 1850 წლის 2 (14) იანვარი ქართული თეატრისათვის ისტორიული დღეა. ამ დღეს განახლდა თეატრალური ცხოვრება საქართველოში. პირველი სპექტაკლი იყო გიორგი ერისთავის „გაყრა“.

თბილისში ქართული პროფესიული თეატრალური საქმიანობა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაოსნობით 1879 წელს განახლდა (ე.წ. მუდმივ მოქმედი დასი). ამ

ბალდათის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი საქართველო, ბალდათი, ჯახიანის ქ. №3  
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54  
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე  
ტექნიკური რედაქტორი ლაშით ყიფიანი  
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:  
მარიამ ოქროჭელიძე, აზა მამანეიშვილი,  
ნინო სახამბერიძე,  
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯავადონდა  
ი/მ მამუჯა ჭოლაძის მიერ  
დაიბეჭდა  
შ.პ.ს. „ქოლოში“